

Nino Popiashvili

ნინო პოპიაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

At the Crossroads of East and West: The German Translation of Sulkhan-Saba Orbeliani's

“Wisdom in Lies” by Mikheil (Mikhako) Tsereteli

აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყართან: სულხან-საბა ორბელიანის

„სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულენოვანი მიხეილ (მიხაკო) წერეთლისეული

თარგმანი

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10922>

The first German translation of the work belongs to Mikhako Tsereteli, who published a complete translation of the work in Berlin in 1933. With the publication of this book, the Georgian Library Series was established in Berlin, Germany. In his introductory letter, Mikhako Tsereteli notes the literary features of Sulkhan-Saba Orbeliani's "The Wisdom of Lies", indicating that the work has a deep connection with world literature, with the literary understanding of the East and the West.

Keywords: Georgian literature, Sulkhan-Saba Orbeliani, “The Wisdom of Lies”, Mikhako Tsereteli, German translation

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, მიხაკო წერეთელი, გერმანული თარგმანი

გერმანულ კულტურულ და ინტელექტუალურ სივრცეში საქართველოს, ქართული კულტურის, ეროვნული იდენტობის, ლიტერატურისა და ხელოვნების აღქმა, ისტორიულად, არაერთგვაროვანი და მრავალშრიანი. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საქართველო ევროპული ცნობიერების წინაშე წარმოჩინდებოდა განსხვავებული ინტერპრეტაციებითა და იდეოლოგიური პერსპექტივებით: როგორც უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო და აღმოსავლეთ ქრისტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა; როგორც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც ბიზანტიელების, სპარსეთისა და ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა; მოგვიანებით კი, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი. ამგვარი მრავალპერსპექტივიანი აღქმა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო არა მხოლოდ პოლიტიკური რეალობებით, არამედ ევროპელი მოგზაურების, დიპლომატების, ისტორიკოსებისა და მწერლების მიერ შექმნილი ტექსტებით, რომლებმაც ჩამოაყალიბეს საქართველოს შესახებ დასავლური დისკურსი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გერმანელი მოგზაურებისა და მწერლების ცნობებს საქართველოს შესახებ, რომლებიც ადრეული ახალი დროიდანვე ავრცელებდნენ ინფორმაციას ქვეყნის ისტორიის, სოციალური წესწყობილებისა და კულტურული თავისებურებების შესახებ. ამ კონტექსტში გამორჩეულია ბაროკოს ეპოქის გერმანელი მწერლის, ანდრიას გრიფიუსის (1616–1664) დრამატურგიული ტექსტი „ქართველი ქალი ეკატერინე, ანუ ნაცადი სიმტკიცე“ (*Catarina von Georgien oder Bewehrte Beständigkeit*), რომელიც 1657 წელს გამოქვეყნდა. პიესა წარმოადგენს ისტორიულ ფაქტების ლიტერატურულ რეპრეზენტაციას, რითაც საქართველო გერმანელი მკვლევარების

წინაშე წარმოჩნდა, როგორც სარწმუნოებრივი სიმტკიცისა და მორალური გმირობის სიმბოლო. აღნიშნული დრამა წარმატებით იდგმებოდა გერმანულ თეატრალურ სცენებზე და ფართო პოპულარობით სარგებლობდა, რაც მოწმობს საქართველოს თემატიკის ინტეგრაციას გერმანული ბაროკოს კულტურულ სივრცეში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ-გერმანული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა გერმანელმა მწერალმა, მთარგმნელმა და ჟურნალისტმა, არტურ ლაისტმა (1852–1927). მისი მრავალმხრივი საქმიანობა მიზნად ისახავდა საქართველოს ისტორიის, ბუნების, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის გაცნობას გერმანულენოვანი საზოგადოებისათვის. 1885 წელს ლაისტმა გამოქვეყნებული ნაშრომი „Georgien, Natur, Sitten und Bewohner“ („საქართველო: ბუნება, წესები და მაცხოვრებლები“) საქართველოს გეოგრაფიულ თავისებურებებთან ერთად მიმოიხილავს მის ისტორიულ რეგიონებსა და ლიტერატურულ ტრადიციებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არტურ ლაისტის მიერ 1887 წელს გამოცემული ანთოლოგია „ქართველი პოეტები“, რომელიც ქართული პოეზიის პირველ სრულფასოვან გერმანულენოვან კრებულს წარმოადგენს. ანთოლოგიაში შესულია 32 ხალხური ლექსი და თერთმეტი ქართველი ავტორის 89 პოეტური ტექსტი, მათ შორის გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და რაფიელ ერისთავის ნაწარმოებები. ამ გამოცემამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ დიალოგს. აღსანიშნავია, რომ 1900 წელს ლაისტმა მოამზადა ანთოლოგიის შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ლაისტის მოგონებებიდან ირკვევა, რომ ანთოლოგიის შექმნის პროცესში იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძესთან, რაც გერმანულ გამოცემებს დამატებით კულტურულ და იდეურ მნიშვნელობას ანიჭებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიისა და კულტურული თვითშემეცნებისათვის გარდამტეხ ეტაპს წარმოადგენს. ნაციონალური იდენტობის საკითხმა, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან აქტიურად განიხილებოდა ქართველ სამოციანელთა მოძრაობაში, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად, ახალ პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში გადაინაცვლა. 1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მიუხედავად მისი ხანმოკლე არსებობისა, ნათლად წარმოაჩენდა ქვეყნის ევროპულ ორიენტაციასა და დემოკრატიულ ღირებულებებთან მისწრაფებას. ეს გამოიხატა როგორც საარჩევნო პროცესში, რომელშიც ქალები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ასევე 1921 წლის კონსტიტუციაში, რომელიც პროგრესული სამართლებრივი და სამოქალაქო პრინციპებით გამოირჩეოდა.

საქართველოს ოკუპაციისა და 1921 წლის შემდგომი პოლიტიკური ემიგრაციის პირობებში, ევროპაში ქართული პოლიტიკური და კულტურული იდენტობის წარმოჩენა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ევროპულ ქვეყნებში, მათ შორის, გერმანიაში, ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსებისა და ინტელიგენციის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საქართველოს, როგორც ისტორიულად დამოუკიდებელი, კულტურულად თვითმყოფადი და ევროპული ღირებულებების მქონე ქვეყნის წარმოჩენა.

მიხეილ (მიხაკო) წერეთლის მოღვაწეობა წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება მეცნიერება, პოლიტიკა და ეროვნული იდენტობის საკითხი ერთიან ინტელექტუალურ იდეად ჩამოყალიბდეს. მისი ბიოგრაფია და შემოქმედება არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ქრონოლოგიაა, არამედ ასახავს მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ინტელიგენციის დრამატულ გამოცდილებას – იმ ეპოქას, როდესაც ეროვნული თვითდამკვიდრება, მეცნიერული კვლევა და პოლიტიკური ბრძოლა ერთმანეთისგან განუყოფელი იყო.

მიხეილ (მიხაკო) წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობა უმთავრესად უკავშირდება ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ასირიოლოგიის დარგს. იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც დასავლურ აკადემიურ სივრცეში პროფესიული აღიარება მოიპოვა. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მიღებული განათლებამ და იქვე დაცულმა სადოქტორო დისერტა-

ციამ ასირიოლოგიაში (1914 წ.) მიხეილ წერეთელი ჩამოაყალიბა, როგორც ევროპული ტიპის მკვლევარი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის კვლევებს სუმერებისა და ქართველების ეთნოკულტურული კავშირების შესახებ („სუმერული და ქართული“, „სუმერელები და ქართველები“). მიხეილ წერეთელი იყო პირველი მეცნიერი, რომელიც შეეცადა საქართველოს ისტორიის ინტეგრირებას სოფლიო ცივილიზაციის უძველეს ფენებში. ეს მიდგომა კი ეროვნული თვითშეგნების ფუნქციასაც ასრულებდა.

მიხეილ წერეთლის პოლიტიკური გზა ხასიათდება იდეოლოგიური ევოლუციით: მარქსიზმიდან ანარქიზმის გავლით ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ იდეამდე. ახალგაზრდობაში მისი ჩართულობა საერთაშორისო ანარქისტულ მოძრაობაში ქართველი მეცნიერის ინტერნაციონალისტურ ხედვებზე მიუთითებს. თუმცა, საქართველოს პოლიტიკური რეალობისა და ეროვნული პრობლემების გააზრებამ იგი თანდათანობით მიიყვანა ეროვნულ პოზიციებთან. გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის მკვლევლობას (1907), რის შემდეგაც მ. წერეთლის პუბლიცისტიკა მკვეთრად ეროვნულ ხასიათს იღებს. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მ. წერეთლის საქმიანობა გერმანიაში, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ფარგლებში, წარმოადგენს მის პოლიტიკურ საქმიანობას საერთაშორისო ასპარეზზე. ანტანტის წინააღმდეგ მიმართული პოზიცია და გერმანიის მხარდაჭერის მცდელობა ეფუძნებოდა არა მხოლოდ იდეოლოგიურ სიმპათიებს, არამედ აგრეთვე პრაგმატულ ეროვნულ ინტერესს — საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიხეილ წერეთელი ეროვნული სახელმწიფოს ერთ-ერთ ინტელექტუალურ არქიტექტორად გვევლინება. მისი დიპლომატიური საქმიანობა გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში მიზნად ისახავდა საქართველოს საერთაშორისო ლეგიტიმაციას. პარალელურად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი პროფესორობა ასირიოლოგიასა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში, ქართული მეცნიერების საერთაშორისო პერსპექტივაში გააზრების პროცესის ნაწილი იყო.

1921 წლის საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მიხეილ წერეთლის მოღვაწეობა ემიგრაციაში ახალ ეტაპზე გადადის. იგი იქცევა ეროვნული მეხსიერების ერთ-ერთ მთავარ მატარებლად. მიხეილ წერეთლის საქმიანობა ემიგრაციაში ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ, პოლიტიკურ, სამეცნიერო, ლიტერატურულ საკითხებთან. სხვა მიმართულებებს შორის უნდა გამოიყოს მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლური ენებიდან ქართულად თარგმანებს, „გილგამეშინასა“ და სხვა ბიბლიურ და ძველი აღმოსავლეთის ტექსტებს. ამავდროულად, გამორჩეული და თვალსაჩინოა მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ქართულიდან გერმანულ ენაზე შესრულებული თარგმანები: სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“; შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ წერეთლის თარგმანები ქმნიდა კულტურულ ხიდს ქართულ და დასავლურ ინტელექტუალურ სივრცეებს შორის და ამდიდრებდა როგორც ქართულ სამეცნიერო ენას, ისე ევროპულ ცოდნას საქართველოს შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს მის რუსთველოლოგიურ საქმიანობას ემიგრაციაში. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა და მისი გერმანული თარგმანი ქართული კულტურის უდიდესი სიმბოლოს ევროპულ სივრცეში ინტეგრირების მცდელობად შეიძლება შეფასდეს. აღსანიშნავია, რომ ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმანებისადმი ინტერესი განსაკუთრებით 1930-იანი წლებიდან იკვეთება, როდესაც მიხეილ წერეთელი უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერი და ევროპულ აკადემიურ წრეებში აღიარებული ავტორია.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს, რომლის ევროპულ კულტურულ სივრცეში წარდგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპული პერსპექტივიდან ქართული ლიტერატურის ადგილის გააზრების თვალსაზრისით. „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულ ენაზე სამჯერ არის თარგმნილი, თუმცა ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით, ფუნდამენტურ მნიშვნელობას ატარებს პირველი თარგმანი, რომელიც შესრულებულია მიხაკო წერეთლის მიერ გერმანულ ენაზე და, რო-

მელიც 1933 წელს ბერლინში გამოიცა. შესავალ წერილში მთარგმნელი მიუთითებს, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ აქამდე რუსულად და ინგლისურად სრულად იყო თარგმნილი, ხოლო ფრანგულად – მხოლოდ რამდენიმე იგავ-არაკი. იქვე აღნიშნულია მთარგმნელობითი სირთულეების თაობაზეც: „ქართული ტექსტის გერმანული თარგმანი მარტივი შესასრულებელი არ გახლდათ. ჩვენი მიზანი იყო, ავტორისეული სტილი შეძლებისდაგვარად შეგვენარჩუნებინა თარგმანში ტექსტის ორიგინალობის მეტი სიზუსტით ასახვის მიზნით. ეს იოლი არ იყო, მით უმეტეს, როცა საქმე ორბელიანისთვის ჩვეულ მოკლე გამონათქვამებს ეხება. ვიმედოვნებთ, რომ ამ და სხვა სირთულეების უდიდესი ნაწილის დაძლევა შეგძელით (Orbeliani, 2017, გვ. 16).

1933 წელს ბერლინში გამოცემული „სიბრძნე სიცრუისა“ საფუძვლად დაედო „ქართული ბიბლიოთეკის“ (Georgische Bibliothek) სერიის დაარსებას, რაც მიზნად ისახავდა ქართული ლიტერატურის კლასიკური ტექსტების გამოცემას გერმანულ ენაზე. გამოცემელი იყო არჩილ მეტრეველი, ხოლო თავად სერია განიხილებოდა, როგორც გრძელვადიანი კულტურული პროექტი.

გერმანულ გამოცემას თან ერთვის ფართო სამეცნიერო აპარატი: წიგნში შესულია მიხაკო წერეთლის შესავალი წერილი, ზურაბ ავალიშვილის აკადემიური წინასიტყვაობა, აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიული ნარკვევი. თარგმანი ეყრდნობა „სიბრძნე სიცრუისას“ 1928 წლის აკადემიურ გამოცემას, რომელიც გიორგი ლეონიძემ მოამზადა რამდენიმე ხელნაწერზე დაყრდნობით. ამგვარი სტრუქტურა ნათლად აჩვენებს, რომ ტექსტი განკუთვნილი იყო არა მხოლოდ ფართო მკითხველისთვის, არამედ გერმანული აკადემიური წრეებისთვისაც, სადაც ქართული ლიტერატურა ნაკლებად იყო ცნობილი.

მიხაკო წერეთელი შესავალ წერილში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „სიბრძნე სიცრუისას“ ლიტერატურულ თავისებურებებს და მას მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში განიხილავს. იგი ხაზგასმით მიუთითებს ნაწარმოების კავშირზე როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ნარატიულ ტრადიციებთან, იგავურ და დიდაქტიკურ ჟანრებთან, რაც „სიბრძნე სიცრუისას“ აქცევს კულტურათაშორის ტექსტად.

საგულისხმოა მიხაკო წერეთლის არჩევანი, თუ რომელი ტექსტით იწყებს იგი ქართული მხატვრული ლიტერატურის წარდგენას გერმანულენოვან სივრცეში. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნა ორი ურთიერთდაკავშირებული, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია და ნათლად აჩვენებს წერეთლის კულტურულ სტრატეგიას, მიზნებს.

ერთი მხრივ, განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს თავად ავტორის ფიგურას. სულხან-საბა ორბელიანი ქართული ისტორიასა და კულტურაში განსაკუთრებული და გამორჩეული პირია. იგი არის ქართული სამეფო ოჯახის წევრი, მეფე ლეონის აღზრდილი და მეფე ვახტანგ VI-ის აღმზრდელი, პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონის – „ლექსიკონი ქართულის“ – ავტორი, რაც მას ქართული ენის სისტემატიზაციისა და ნორმირების ფუძემდებლად აქცევს. ამასთანავე, სულხან-საბა ორბელიანი არის ქართველი დიპლომატი და პირველი ქართველი ელჩი ევროპაში, რომლის ვიზიტები საფრანგეთში, იტალიასა და ვატიკანში, მიზნად ისახავდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ინტერესების ევროპულ ასპარეზზე წარმოჩენას. სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიაში, რომელიც მიხაკო წერეთელს ეკუთვნის, ღრმად არის განხილული სულხან-საბას საგვარეულოს წარმოშობა, ცხოვრების დეტალები, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და სულხან-საბას პოლიტიკური ცხოვრება, ისევე, როგორც რელიგიური ასპექტები, კათოლიკური სარწმუნოების აღიარება, დიპლომატიური საქმიანობა და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანი წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრივი აზრისა და ევროპულ სივრცესთან კავშირის სიმბოლოს, რაც თანხვედრაშია მიხაკო წერეთლის კულტურულ და პოლიტიკურ მიზნებთან. საგულისხმოა მთარგმნელის შემდეგი შეხედულება: „სულხან-საბა ორბელიანმა თავისი სიცოცხლე დაასრულა, როგორც ემიგრანტმა, რაც ბევრი ქართველის ბედისწერა იყო ქვეყნის ხანგრძლივი და მძიმე ისტორიის მანძილზე. იგი უცხო ქვეყანაში გარდაიცვალა, მაგრამ ქართველების გარემოცვაში, რაც მისი ბოლოქარი ცხოვრების დასასრულს ერთადერთი ნუგეში უნდა ყოფილიყო“ (Orbeliani, 2017, გვ. 38-39).

მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად სათარგმნელი ტექსტის ჟანრული და შინა-არსობრივი სპეციფიკა. „სიბრძნე სიცრუისა“ იგავ-არაკული კრებულია, რომელიც აგებულია ახალი ადამიანის – უფლისწულის – აღზრდის ნარატიულ ჩარჩოზე. ეს სიუჟეტური ქარგა საშუალებას აძლევს ავტორს, აღზრდის პროცესის ფონზე წარმოაჩინოს ზნეობრივი, პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა, აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა ერთ ან რამდენიმე გადმოცემული. იგავური ფორმა ტექსტს უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს და მას კულტურათათმორისი კომუნიკაციისთვის განსაკუთრებით მისაღებს ხდის. აღსანიშნავია, რომ „სიბრძნე სიცრუისაში“ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურული ტრადიციები. ტექსტში თანაარსებობს აღმოსავლური იგავ-არაკული მემკვიდრეობა, დიდაქტიკური სიბრძნე და ალეგორიული აზროვნება, ხოლო ამავე დროს შეინიშნება ევროპული პოლიტიკური აზრისა და განმანათლებლური იდეების ელემენტები. ამგვარად, ნაწარმოები წარმოადგენს როგორც კულტურული სივრცე, სადაც აღმოსავლეთი და დასავლეთი არა დაპირისპირებულ, არამედ ურთიერთმეშველ სისტემებად ერთიანდება. სწორედ ეს ინტეგრაციული ხასიათი ხდის „სიბრძნე სიცრუისა“ განსაკუთრებით მიმზიდველ ტექსტად ევროპელი მკითხველისთვის.

მიხაკო წერეთლის მიერ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ არჩევა შეიძლება გააზრებულ იქნას აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებლად. ამ პერსპექტივიდან, მთარგმნელის არჩევანი სცილდება მხოლოდ ლიტერატურულ და მთარგმნელობით ასპექტებს და გარდაიქმნება კულტურათმორის დიალოგად, რომელშიც საქართველო წარმოადგენს ერთგვარ შუამავალ სივრცეს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დიქოტომია ევროპულ ფილოსოფიურ და კულტურულ აზროვნებაში ხშირად ოპოზიციური მოდელით არის წარმოდგენილი (რაციონალური დასავლეთი / ტრადიციული აღმოსავლეთი). სულხან-საბა ორბელიანის ტექსტი ეფუძნება იგავ-არაკულ ტრადიციას, რომელიც საერთოა დასავლეთისა და აღმოსავლეთისათვის, ამავდროულად, ატარებს ევროპული პოლიტიკური აზრის, პედაგოგიური მეთოდების, ჰუმანისტური ეთიკისა და განმანათლებლური დიდაქტიკის ნიშნებს. სწორედ ამ შუალედურობას ხედავს და მიზანმიმართულად უსვამს ხაზს მიხაკო წერეთელი, როდესაც ნაწარმოებს გერმანულ ენაზე თარგმნის. ამ შეხედულების დამადასტურებლად მიგვაჩნია ზურაბ ავალიშვილისეული წინასიტყვაობა, რომელშიც ღრმად არის განხილული „სიბრძნე-სიცრუისა“ ლიტერატურული წყაროები, სიუჟეტური მსგავსებები და სხვა საკითხები. ზურაბ ავალიშვილი მიუთითებს: „წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ ფორმალურად მიჰყვება ნაწარმოებების, „ქილილა და დამანას“, „შვიდი ბრძენის“ და სხვათა კვალს. დასავლეთ ევროპის მსგავს მოთხრობებთან ამგვარი ნათესაობით იგი უკავშირდება ჩოსერის „კენტერბერულ მოთხრობებსა“ და ბოკაჩოს „დეკამერონს“... მრავალრიცხოვანი ძაფები აკავშირებს წიგნს „სიბრძნე სიცრუისა“ როგორც ქრისტიანულ დასავლურ, ისე მუსლიმურ აღმოსავლურ კულტურასთან, რაც ცხადად ვლინდება მის შინაარსზე დაკვირვებისას. იმავდროულად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არც მისთვის დამახასიათებელი მსუყე ფერებით გადმოცემული ჭეშმარიტად ქართული კვალის და ძლიერი პიროვნული შთაბეჭდილებების უგულვებელყოფა, რომელიც ნაწარმოებში იგრძნობა“ (Orbeliani, 2017, გვ. 94-123).

საკითხი - დასავლეთისა და აღმოსავლეთის კავშირისა და დამატებითი ასპექტის, ამ შემთხვევაში, ქართული, ნაციონალური, ორიგინალური ნაკადის შესახებ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც „მესამე სივრცის“ (Bhabha, 1994) კონცეფცია, რომელშიც კულტურული იდენტობა არის გადაკვეთისა და ტრანსფორმაციის შედეგი. „სიბრძნე სიცრუისა“ ამ თვალსაზრისით იქცევა ტექსტად, რომელშიც აღმოსავლური ალეგორიული ნარატივები და დასავლური მორალურ-პოლიტიკური იდეები ერთიანდება. იგავური სიუჟეტების მატარებელი პერსონაჟები – სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები, ცხოველები და ფრინველები – უნივერსალურ ლიტერატურულ და სიმბოლურ სისტემას ქმნიან. ეს უნივერსალიზმი საშუალებას აძლევს ტექსტს, გადალახოს კულტურული თავისებურებების ჩარჩოები და გახდეს საერთო სივრცე აღმოსავლურ და დასავლურ ტრადიციებს შორის.

მიხაკო წერეთლისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ეს არჩევანი დამატებით პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. ემიგრაციაში მყოფი ქართველი მეცნიერი, რომელიც აქტიურად

ეწინააღმდეგებოდა როგორც იმპერიულ რუსულ, ისე საბჭოთა დისკურსს, მიზანმიმართულად სთავაზობს ევროპულ მკითხველს ტექსტს, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს, როგორც კულტურულად მრავალშრიან და ორიგინალური ლიტერატურის ქვეყანას. ამით იგი უპირისპირდება იმ დასავლურ სტერეოტიპს, რომელიც აღმოსავლეთს განიხილავს როგორც „სხვა“ ცივილიზაციას (Said, 1978). „სიბრძნე სიცრუისას“ გერმანული თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებად, ისე კულტურულ და პოლიტიკურ ტექსტად.

იან ასმანის კულტურული მეხსიერების თეორიის მიხედვით, კულტურული მეხსიერება წარმოადგენს იმ ტექსტების, სიმბოლოებისა და ნარატივების ერთობლიობას, რომლებიც კოლექტიურ იდენტობას ისტორიულ განზომილებაში ინახავს და გადასცემს. ასეთ ტექსტებს იგი „კანონიკურ“ ტექსტებად მოიხსენიებს, რომლებიც საზოგადოებისთვის არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ ნორმატიულ და იდენტობით ფუნქციას ასრულებს (Assmann, 1992). სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ქართული კულტურული მეხსიერების ერთ-ერთ ასეთ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მიხაკო წერეთლის მიერ მისი გერმანულ ენაზე თარგმნა ნიშნავს ამ მეხსიერების ტრანსნაციონალურ სივრცეში გადატანას, რაც პოლისისტემური თეორიის მიხედვით, სამიზნე კულტურული სივრცისათვის განსაკუთრებული გზავნილის შემცველია (Even-Zohar, 1990). ამ შემთხვევაში, ქართული კულტურა გამოდის ლოკალური ჩარჩოებიდან და ინერგება ევროპულ მეხსიერებით დისკურსში. მისი განხილვა შესაძლებელია არა როგორც ევოლუციური, ან „სხვა“ ტექსტების ერთობლიობა, არამედ, როგორც უნივერსალური ხასიათის ტექსტი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარი.

როგორც აღინიშნა, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ არის პირველი ქართული მხატვრული ტექსტი, რომელიც მიხაკო წერეთელმა გერმანულად თარგმნა, რასაც მალევე მოჰყვა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. ვფიქრობთ, მიხაკო წერეთლის ორივე თარგმანი წარმოადგენდა ქართული კულტურის ევროპული რეპრეზენტაციის გააზრებულ სტრატეგიას. თუმცა, მეორე მსოფლიო ომისა და შემდგომი ცივი ომის პირობებში, მიხაკო წერეთლის სამეცნიერო და მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში პრაქტიკულად უცნობი დარჩა, რის გამოც მისი თარგმანები ქართული საზოგადოებისათვის ძალზე გვიან გახდა ცნობილი და სათანადოდ შეფასებული.

მიხაკო წერეთლის მიერ შესრულებული „სიბრძნე სიცრუისას“ გერმანული თარგმანი უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ლიტერატურული ფაქტი, არამედ როგორც ეროვნული კულტურული პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ინტეგრაციას ევროპულ ინტელექტუალურ სივრცეში და საქართველოს კულტურული თვითმყოფადობის წარმოჩენას საერთაშორისო კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა / References:

- Assmann, J. (1992). *Das kulturelle Gedächtnis: Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen*. München.
- Bhabha, H. K. (1994). *The location of culture*. Routledge.
- Even-Zohar, I. (1990). *Polysystem studies*. Poetics Today, 11(1), 1–268.
- Orbeliani, S. S. (2017). *Die Weisheit der Lüge* (M. von Tsereteli, Trans.; Z. Avalishvili, Intro.). Ivane Javakhishvili Tbilisi State University. (Original work published 1933).
- Said, E. W. (1978). *Orientalism*. Pantheon Books.